№ 98
მაისის 6, სამშაბათი 1903 წ.
1877

# ივერია

№ 98
მაისის 6, სამშაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი


დღესასწაულის გამო შემდეგი №-რი გამოვა ხუთშაბათს, 8 მაისს.


პირველ მაისიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 7 მან. 25 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ.25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.


კნ. ელისაბედ ნიკოლოზის ასული ბაგრატიონ მუხრან-ბატონისა მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა ძვირფასის მეუღლისა თვისისა **თავადის კონსტანტინე ივანეს ძის**

**ბაგრატიონ მუხრან-ბატონისას 2** მაისს.

პანაშვიდები გადახდილ იქნება ყოველ დღე საკუთარს სახლში ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, დღისით 1 საათზე და საღამოს 8 საათზე. გამოსვენება მიცვალებულისა დანიშნულია ოთხშაბათს, 7 მაისს, დილის 11 საათზედ. დასაფლავება იქმნება ხუთშაბათს, 8 მაისს, მცხეთის საკათალიკოსო ტაძარში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ. (2—1)


**უმთავრესი კანტორა დ. ზ. სარაჯიშვილისა ქ. ტფილისში** აცხადებს, რომ საუკეთესო ვენახების

## კახური ღვინის

შესანახად და დასაძველებლად, 1903 წლის 1 იანვრიდგან დაქირავებულია სარდაფები **პეტრუსა მაკაროვისა**. კანტორა და მაღაზია ღვინის ვაჭრობისა იმავე სახლშია (ოლგის ქუჩა, ტელეფონი № 150).

ღვინოები ისყიდება 25 კაპ. დაწყებული ბოთლი.

ნარდად მსყიდველთ და მუდმივ მუშტარს ნაკლებად მიეცემა; ათ ბოთლზედ ნაკლები თუ არ მოითხოვა მუშტარმა, ღვინოს კანტორა სახლშივე თვითონვე მიუტანს.

**ღვინო ისყიდება:**

საწყობში—გოლოვ. პროსპ. სახ. დობრჟანსკისა, ტელეფ. № 595.
დეპო № 2, თავ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ტელეფ. № 210
დეპო № 1, სასახლის ქუჩა, საკუთარი სახლი, ტელეფონ. № 60.
კავკასიის აფიც. საზოგ., რკინის გზის მოხელეთა მომხმარებ. საზოგადოებისა, შაქიევისა, მანიევისა, აკოფოვისა და სხვა საგასტრონომიო მაღაზიაში. (25—6.—16)

## ს.-პეტერბურგის კომპანია „ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

**დაარსებულია 1847 წელს.**

| | |
|---|---|
| **ძირითადი თანხა** . . . . . . . | 1.650.000 მან. |
| **სათადარიგო თანხა** . . . . . . . | 2 664,808 მან. |

### I. გაგზავნა ტვირთისა.

300 საგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, სიბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებას ბარგი... [illegible]

[illegible]

### II. ნაოსნობა.

[illegible]

### III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გაიგზავნება როგორც ხმელეთით, ისე ზღვით და იროთ.

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** [illegible]

დ) **დაზღვევა** [illegible]

[illegible]

ტელეფონი № 108. (120—6.—117)


## ქართული თეატრი

კვირას, 11 მაისს

ქართული თეატრის არტისტები **თავად ალექსანდრე სუმბათიშვილის (იუჟინის)**

დ

**მოსკოვის საიმპერატორო დასის არტისტების პატივსაცემლად**

გამართავენ

**სადღესასწაულო წარმოდგენას.**

წარმოდგენილი იქნება:

I

მეოთხე მოქმედება სუმბათაშვილის კომედიიდან **კაზაიანი.**

II

მეორე მოქმედება ა. ცაგარლის კომედიიდან

**ხანუმა**

III

**ქართული ხალხური სიმღერები და ლეკური**

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

ბილეთების ყიდვა შეიძლება ამ თავითვე თეატრის კასაში, ყოველ დღე.

დასაწყისი 9 საათზე.

საღამოს გამგენი: ვ. აბაშიძე. / კ. მესხი.

**ქართველ ქალთა ამხანაგობის**

**სამკერვალოში**

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ექიმი

## ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

**კბილის ექიმი**

ივანე ჰავლეს ძე

**ახალშენიშვილი**

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმეღღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქროვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

**მ. გ. აფეტისიანცი.** 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. ზქელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

**ნ. ს. ლუბეცკი** 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—7½ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 ს.

**ს. ტ. არზანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის მუსხელაშვილისა**

(გედევანიშვილისეული)

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ვ. ი. ჟიჟინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

**ვ. დ. ღამბაშიძე**—ორშ., ოთხშ., და შაბათ. 10—11.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით 10—11 ს.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ა. მუსხელოვი**:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ხოთშ. და შაბათი. 11½—12½.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 ს.

**ზრ. ვ. სოზოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარიაკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

**გ. მ. ამბარდანოვი**—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

**საღამოთი:**

**ა. გ. მაღალაშვილი**—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტეოიოლოგიური გამოკვლ.)

**მუდმივი ექიმი გ. დ. ნასარიძე.**

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

46—8 ტელეფონი № 617

**ტფილისი,** 6 მაისი.

ამ დღებში თავად-აზნაურობის კრებას წარუდგენენ განსახილველად „ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურობის სასოფლო-სამეურნეო თანხის დებულების“ პროექტს.

ეს პროექტი შეუდგენიათ მცოდენ კაცთ ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის მინდობილობით.

პროექტი დებულებისა საუცხოვოდ არის შედგენილი და დიდად სასურველია, რომ დღევანდელ თავად-აზნაურობას საგუბერნიო მორიგმა კრებამ გულდადებით მოისმინოს, განიხილოს და თვისი თანაგრძნობა გამოუცხადოს დებულების ყოვლად სასარგებლო აზრს.

თვით განათლებულ ქვეყნებს უჭირთ სხვა-და-სხვა გვარი კრედიტი ცხოვრების განკარგებისათვის და ჩვენთვის ხომ ყოველ-გვარი საკრედიტო დაწესებულება აუცილებლად საჭიროა.

კრედიტი ეჭირვება ქალაქსაცა და სოფელსაც, ვაჭარსაცა და მეურნესაც. საჭიროა კრედიტი ხანგრძლივი და მოკლე-ვადიანი, სამელიორაციო და სავექსილო. საჭიროა აგრეთვე სესხად აღება ფულისა მამულისა თუ საქონლის დაგირავებით, სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა თუ იარაღის დაწინდვით; ფულის აღება საჭიროა მეურნეობის უკეთ მოსაწყობად, მამულის განსაკარგებლად, სამეურნეო იარაღისა და მანქანის შესაძენად, კარგის ჯიშის თესლისა თუ საქონლის დასაბარებლად და სხ.-და-სხვ.

წავიდა ის დრო, როდესაც ქვეყანა უვალოდ, სესხის აუღებლად იოლად მიდიოდა. ჩაილურის წყალს გაჰყვა ის დრო, როდესაც ვაჭარი, თუ მრეწველი, მეურნე თუ მექარხნე უკრედიტოდ საქმეს ახერხებდა. სესხად აღება ფულისა მაშინ უბედურებად იყო მიჩნეული. მდაბიო ხალხს დღესაც დიდად ეშინიან ვალისა, ვალმა ბარტყობა იცისო და ერიდება ვალად ფულის აღებას.

მაგრამ ვალიც არის და ვალიცა. აღებასაც აღება ჰქვიან. ქეიფისა და დროს გასატარებლად აღებული ფული, სოფლად „სასახლის“ აგებისათვის ვალად აღებულ ფულის დახარჯვა, ან სხვა რამ ისეთის საქმის მოსახმარებლად ნასესხს ფულის მოხმარება, რომელსაც არავითარი მოსავალი არ მოჰყვება და ოჯახს არას შეჰმატებს, მართლა უბედურებაა ადამიანისათვის და ოჯახის დამღუპველად უნდა იქმნას მიჩნეული. ასეთივე დამღუპველია ვალი, აღებული მამა-სისხლად, დიდის სარგებლით, უშეღავათოდ, თუ მეტადრე ეგ ნავალევი არ მოჰხმარებია ისეთს წარმოებას, რომლის ნაყოფი ადვილად გაუძლევება თავნისა და სარგებლის ხდას.

გონივრულად, წინდახედვით და სიფრთხილით აღება და მოხმარება ფულისა-კი ნამდვილი წყაროა კეთილდღეობისა, მამულის აღყვავებისა და ბედნიერებისა, როგორც კერძო კაცთა, ისე საზოგადოებათა, ამხანაგობათა და დაბა-სოფლისათვის.

ჩვენში და რუსეთში თუ იპოვით ახლა ისეთს ქალაქს, ან ამხანაგობა-საზოგადოებას, რომელიც სჯერდება თავის შემოსავალს და იმით უძლვება თავის საჭიროებას. განათლებულთა და წარმატებულს ქვეყნებში-კი, როგორც საზოგადოებანი და ამხანაგობანი, აგრედვე კერძო კაცნი, ისე ქალაქნი, დაბანი და სოფელნიც-კი მხოლოდ კრედიტით, ვალად აღებულის ფულით ეწყობიან, იმართავენ ხელს, აუმჯობესებენ ცხოვრების ვითარებას, იძენენ საჭირო მთასა და ბარს, იჩენენ საყასბოს, კანალიზაციას, სასმელს წყალს, საუკეთესო თესლს, კარგის ჯიშის საქონელს, სამეურნეო იარაღსა და მანქანებს და სხვ.

ის, რაც ახლა განუზრახავთ თავადაზნაურობის პროექტით, დიდის ხნით ადრევე უნდა ყოფილიყო დაწესებული ქვეყნის გულ-შემატკივართაგან და ბევრით ადრე უნდა დაარსებულიყო კრედიტი არა მარტო საიპოტეკო, არამედ სამელიორაციო, სამეურნეო და სავექსილო.

ამიტომ დიდის თანაგრძნობით მივეგებებით ახალს პროექტს სასოფლოსამეურნეო თანხის დებულებისას და ვისურვებთ მის ადრე და მალე განხორციელებას.

რასაკვირველია, თუ ეს პროექტი განხორციელდა, საქმე ჩვენის მეურნეობის გაუმჯობესობისა ნელ-ნელა წავა წინ, სიფრთხილისა და წინ-დახედულობის წყალობით გაფართოვდება თანდათანობით და ბოლოს მოიტანს იმ ნაყოფს, რომელიც მოუტანია გონივრულად მოწყობილს კრედიტს განათლებულსა და წარმატებულს ქვეყნებში.

შეუძლებელია წინდაწინვე გაითვალისწინოს კაცმა იმ სიკეთის სიდიადე, რომელსაც უქადის პროექტის განხორციელება ჩვენს დაცემულს მეურნეობას და დაბეჩავებულს სოფელს. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ საქმის დაწყება თავის დროზედ დიდის მადლობით იქმნება მოხსენებული ჩვენის შთამომავლობისაგან.

აგერ სამი წელი შესრულდა, რაც ...ანათლებულ კაცობრიობის ბაირაღ...არი, თავისებურ „გულ-შემატკივრო...ით“ გამსჭვალული ევროპა, რაღაც ...მნიშვნელო მიზეზის გამო, შეესია სა...რალო ჩინეთსა, ვითომ და მშვიდობი...ობის აღსადგენად, და იმ ევროპიულ ...ულტურის გასავრცელებლად, რომ...ითაც ასე მაღლა მოაქვს თავი. შეე...ა და ცეცხლითა და მახვილით მოს...ა იქაურობა, სისხლის მორევში აცუ...ა დაბა-ქალაქნი, შეარყია საფუძველ...ი ათას წლოვან კულტურულ ნაშრომ...ღვაწისა, შებლახა და ფეხ-ქვეშ გა...იელა წმინდათა წმინდა მთელის ერი... ერთის სიტყვით, ისეთი ბარბარო...ბა და უდიერობა ჩაიდინა, რომ ...ვით ჰუნნთა ბელადს „ღვთის რისხვა“ ...ტილლასაც-კი გაააცებდა „კულტუ...ოსან“ ევროპიელთა სიაფთრე. ის მცი...ე შინაურული არეულობა, რომელიც ...ვროპიელ მისიონერთა გაიძვერაობამ ...ამოიწვია და რომლის მსხვერპლადაც ...ვითვე გახდნენ, ერთი ათადაც რომ ...ავრცელებულიყო და მთელი საუკუნე ...აგრძელებულიყო, მის ნაასალს ვერ ...მსხვერპლებდა, რაც რამდენისამე თვის ...ანმავლობაში გაუმაძღარმა ევროპამ ...მსხვერპლა.

ჯერ იმ დროსაც ადვილი მისახვედ...ი იყო და ახლა ხომ ყველასათვის ...ხადია, თუ რა აზრით ამხედრდნენ ჩი...ეთის წინააღმდეგ „მშვიდობიანობის“ ...ღაჲ ჩამოფარებულნი სახელმწიფონი: ...იდი ხანია მადას უღვიძებდა ეს უუმ...იდრესი ქვეყანა და, აბა, გული რო...ორ გაუძლებდათ, რომ არ გაეკრათ ...ავისი ბასრი კლანჭი და ცოტა რამ ...ინც არა ჩამოეცინცლად-რა. ასეც ...ოხდა. ერთმა ერთს პროვინციაში მო...კალათა, მეორემ—მეორეში, მესამემ—...ესამეში და ამგვარად მთელი ჩინეთი ...აინაწილეს, თუმცა ყველანი იმას ირ...მუნებოდნენ,—ჩინეთი ხელ-უხლებლა...ვე უნდა დარჩესო.

...ეხლა ვიკითხოთ, რა შედეგი მოჰყვა ...ვროპიელთა „სასახელო“ საქციელს; ...ა ნაყოფი აღმოაცენა იმ ღვარძლიან...ი თესლმა, რომელიც უხვად მოაპნიეს ...მ ქვეყანაში?

თუ ჩინელები წინად მხოლოდ მისი...ნერებს შესცქეროდნენ ეჭვის თვა...ლით,—რადგან მათი საქციელი უმე...ეს ნაწილად დიპლომატიურ აგენტის ...ოქმედებას უფრო უახლოვდებოდა, ვი...რე კეთილ ღვთის მსახურის უანგა...ო და გულ წრფელ მოღვაწეობას,—...ხლა ყოველ ევროპიელს ზიზღითა და ...კიდურესის სიძულვილით შეჰყურე-ბენ; ზიზღითვე ეპყრობიან თავისსავე მოძმე ჩინელებს, რომელთაც ამ „წარმართთაგან“ ქრისტეანობა მიიღეს, დაჰკარგეს ყოველივე ნდობა და პატივისცემა მთავრობისადმი, რომელმაც ვერ შესძლო ამ „ურწმუნოთა“ თავდასხმისაგან დაფარვა ერთგულ ქვეშევრდომთა; იდუმალი დრტვინვა და მღელვარება საოცარის სისწრაფით ვრცელდება და დღე-დღეზედ უქადის უვარგისს მთავრობასა და საძაგელ ევროპიელთ მუსრის გავლებას.

თვით ევროპიელთაც მეტად ცუდი დამოკიდებულება აქვთ ურთი-ერთ შორის. ის სახელმწიფოებიც-კი, რომელნიც მოკავშირედ ითვლებიან, და მაშასადამე სრულის ნდობითა და თანაგრძნობით უნდა ეპყრობოდნენ ერთმანერთს, ფარულად ჰმოქმედობენ, რაღაც იდუმალ პირობებს უდებენ ჩინეთის მთავრობას, სწადიანთ თვალი აუბან სხვებსა და ყველაზედ მეტი გავლენა და უპირატესობა მოიპოვონ. ამ ფარულმა მოცილეობამ ლამის ცხადად იჩინოს თავი და ერთმანერთზედ აამხედროს დიდნი სახელმწიფონი ჩინელთა სასიხარულოდ.

# ტფილისი

◆ ტფილისის თავად-აზნაურთა გუშინდელს მორიგ კრებაზე მხოლოდ უმაღლესად ნაბოძებ 20,000 მანეთის შესახებ ჰქონდათ კამათი; კრება სამ ბანაკად გაიყო; ერთნი იმ აზრისა იყვნენ,—ამ ფულით სტიპენდიები დაარსდესო; მეორენი საშუალო სამეურნეო სასწავლებელს მიემხრნენ; ხოლო მესამენი—თელავსა და გორში გიმნაზიების დაარსებას ამჯობინებდნენ. რადგან ორატორნი ვერ შეთანხმდნენ, მიჰმართეს კენჭსა; სტიპენდიების მომხრე აღმოჩნდა 23 (82 წინააღმდეგ), საშუალო სამეურნეო სკოლისა—46 (59 წინააღმდეგ) და გიმნაზიებისა—49 (56 შავი); მეორედ უყარეს კენჭი სამეურნეო სასწავლებელსა და გიმნაზიებს; სამეურნეო სასწავლებელს—51 თეთრი კენჭი ამოუვიდა (46 შ.); გიმნაზიებს 49 თ. (48 შ.) ამგვარად გადასწყდა, რომ უმაღლესად ნაბოძები თანხა—20,000 მანეთი საშუალო სამეურნეო სასწავლებელს მოხმარდეს, ხოლო რადგან ეს თანხა არა კმარა ასეთ სასწავლებლის დასაარსებლად, არჩეულ იქმნა კომისია, (თ-დი ი. გ. ჭავჭავაძე, თ-დი გ. ი. თარხან მოურავიშვილი, თ-დი ლ. გ. ჯანდიერი, ბ-ნი ვ. თულაშვილი და ბ.ნი ი. გ. ოიულაშვილი), რომელმაც, სანამ კრებები დასრულდებოდეს, უნდა შეიმუშაოს და მოახსენოს საზოგადო კრებას, თუ საიდგან გამოჰნახონ საჭირო დამატებითი თანხა საშუალო სამეურნეო სკოლის დასაარსებლად.

კრება დასრულდა $4^{1}/_{2}$ საათზე; დაწვრილებით შემდეგს ნომერში.

◆ მაისის ოთხს დიღმის წმ. ქალწულ მოწამის მარინეს ეკკლესიის წინამძღვარმა მ. იოილ გამრეკელმა და მღვდელმა ი. სონღულაშვილმა გარდაიხადეს წირვა და პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის თავადის კონსტანტინე ივანეს ძე მუხრან-ბატონის სულის მოსახსენებლად. წირვასა და პანაშვიდს დაესწრო მიცვალებულის მამულების მმართველი თ. კონსტანტინე ციციშვილი, დიღმის საზოგადოება და დიღმის სამრევლო სკოლის შეგირდები თავიანთ მასწავლებლებით.

◆ ჩვენ მივიღეთ რამდენიმე სიმღერა, ნოტებზედ დაწყობილი დ. არაყიშვილისაგან, სახელდობრ „მწყემსის სიმღერა“, „ტყეს ესხმება ფოთოლი“ და „მზე აღარ ბრწყინავს“.

◆ 7 მაისს დანიშნულია შეერთებული კრება ქალაქის გამგეობისა და საადრესო სტოლის კომისიისა.

◆ ტფილისის გუბერნატორს უკვე დაუმტკიცებია ლომბარდის გამგე კანდიდატის თანამდებობაზედ ა. ს. ბაღდასაროვი.

◆ წელს რაჭაში მეტი ცუდი ზამთარი იყო. თოვლი თითქმის აპრილამდე არ აულია და მუშაობაც შეწყვეტილი იყო. ხალხს ჯერაც არ მოუხნავს და დაუთესია რამ. ახლა დაიწყო ხვნა თესვა და მუშა ხალხი აღარ არის. მანეთსა და ექვს აბაზს აძლევენ მეჩამულენი დღიურად თითო კაცს, რომ იმუშაოს, მაგრამ ხანდისხან მაინც ვერ შოულობენ. მოსავალი წელს ნაკლები იქნება რაჭისაკენ და მოსალოდნელია, რომ შიმშილობაც ჩამოვარდეს.

◆ გორის რწმუნებულთ უკვე მალე გაუვათ სამსახურის ვადა. მალე დაიწყება იქ არჩევნები ახალ რწმუნებულთა. გორის უსტაბაშს უკვე უთხოვნია ტფილისის გუბერნატორისათვის დაუნიშნოს დრო ახალ არჩევნებისათვის.

◆ საქონლის ბაკიდან საქონლის შესანახად ქალაქს აუღია აპრილის განმავლობაში 1,880 მან. 95 კ.

◆ ტფილისის მოქალაქეთა გამგეობის კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა დანდუროვმა უარი გამოაცხადა გამგეობის თავმჯდომარეობაზედ; იმის მაგივრად დაინიშნა წევრი ამავე კომისიისა ბ-ნი ადამიძე.

◆ კავკასიის სამკურნალო საზოგადოების თავმჯდომარემ ს. ა. ანანოვმა უკვე აიღო ნება, ააშენოს ქალაქის ადგილზედ საზოგადოებისათვის განსაკუთრებული შენობა. შენობას ააგებენ ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსის განკარგულებით გადაიდო 1500 მან. ფული მუშებისა და ხელოსნებისათვის დაარსებულ სამხატვრო კურსებისათვის.

◆ როგორც ამბობენ, მთავრობას განუზრახავს გააძლიეროს ბათუმისა და ფოთის პოლიცია. პირველში ამ ჟამად დანიშნავენ ერთ ახალ ბოქაულს და თხუთმეტ პოლიციელს, ხოლო მეორეში ერთ ბოქაულს და 6 პოლიციელს.

◆ ახალი საქარხნო ინსპექტორი უკვე ჩამოვიდა ტფილისში და თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

◆ რკინის გზის გამგეობას აზრად აქვს სატელეგრაფო სკოლები დაარსოს.

◆ 4 მაისს საგანგებო კომისიამ ტფილისის მოქალაქეთა გამგეობის შემოსავალ-გასავლის წარმოების რევიზია მოახდინა.

◆ როგორც გავიგეთ, ერევნიდამ ჯულფაში რკინის გზის გასაყვანად მუშაობას დაიწყებენ პირველ თიბათვიდან.

◆ ამ რამდენიმე ხნის წინად ტფილისში დაიკარგა სოფ. სამთავისის (გორის მაზრა) მცხოვრებელი ტატო იღურიძე. იღურიძე ხელობით მზარეული იყო და სამუშაოდ ყოველთვის ქეიფებსა და ქორწილებში დაიარებოდა ხოლმე. იმ დღეს, რა დღესაც დაიკარგა, ქორწილში ყოფილა მიწვეული. ქორწილი რომ გათავებულა, სახლში წამოსულა. გზაზედ დუქანში მოსვლია ჩხუბი, თუ ქუჩაზედ და ვიღაცას მოუკლავს, ჩაუკიდია ქვიშით სავსე ჯარში და მტკვარში გადაუსროლია. პატრონებმა დაკარგვის შემდეგ მთელი სამი თვე ეძებეს, ხან წყალში, ხან სხვაგან, მაგრამ მაინც ვერ ეპოვნათ. როგორც გავიგეთ, ახლა ნავთლუღისაკენ უპოვნიათ წყალში.— მკვდარს ეტყობა, რომ თავში დაკვრით ვერ მოუკლავთ, ყელში მაგრად წაუჭერიათ დიდი ფოთლი ხელსახოცი და ისე დაუხრჩვიათ.

# ჩვენებური ამბები

ს. ბოსლევი (შორაპნის მაზრა). ბოსლევის საზოგადოება შესდგება ექვსი სოფლისაგან: გაღმა-გამოღმა ბოსლევის, რგვის, დიდ-წიფლის, ზემო და ქვემო დიღიკაურისაგან, რომლებშიაც თითქმის ცხრაასი კომლი გლეხი ირიცხება. მოსავლით ს. ბოსლევი და მისი საზოგადოება ძალიან მწირია. აქაურ გლეხს ნახევარი წლის საზრდო ძლივს მოჰყავს. აქაურები ირჩენენ თავს ზოგნი ჭურჭლის კეთებით და ზოგნი ღვინის ფასით.

ამ ბოლოს დროს ღვინის მოსავალმაც თავი დაუკრა. ვენახებს ფილოქსერა გაუჩნდა და ღვინის მოსავალმა შესამჩნევად იკლო.

ამ ნაკლს ზოგიერთებმა ყურადღება მიაქციეს და ზოგმა მათგანმა გადასახლება იწყო სხვა კაი მოსავლიან სოფლებში და ზოგმა ვაჭრობა, ან ჭიათურაში მუშაობა იწყო.

სწავლა-განათლებისათვის ბოსლეველებს არც ცხელებით და არც აცივებთ და ძალიან უარს აცხადებენ, როცა ამის შესახებ ვინმე ჩამოაგდებს ხოლმე ლაპარაკს საზოგადოებაში.

თუმცა ეს ორი წელიწადია, რაც სოფელ ბოსლევში ორ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი გაიხსნა, მაგრამ იმის გულ-შემატკივარი ძალიან ცოტა გამოჩნდა. სასწავლებლის არსებობას კიდეც ხელი შეუშალეს ზოგიერთებმა მამებმა!..

ორი წლის განმავლობაში ბოსლევის ორ-კლასიანმა სასწავლებელმა დიდი ტანჯვა და ვაი ვაგლახი გამოიარა და ახლა—ღმერთმა უწყის! სავალალო და სამწუხარო ის იყო და არის, რომ მღვდლები ერეოდნენ ამ საქმეში და თავიანთ მრევლს არიგებდნენ: „თქვენთვის არ არის საჭირო სამინისტრო ორ-კლასიანი სასწავლებელი, ჩვენი საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლებიც დაკმაყოფილებენ თქვენს სურვილს“-ო. ამნაირ დარიგებით ჩაგონებული გლეხები-კი, როცა დაიბარებდნენ ერიდობაზედ, სკოლის შენობა გააკეთეთო, ერთ ხმად იძახოდნენ და იძახიან: „არ გვინდა, არ გვინდა“-ო.

მღვდლებს გარდა მამასახლისები და მათი მწერლებიც არიგებდნენ ხალხს სასწავლებლის წინააღმდეგ, რის გამოც ამ ორის წლის განმავლობაში სამი მამასახლისი და ორი მწერალი დაითხოვეს.

ქურდობა აქეთ მხარესაც გამრავლდა. ყოველ კვირას ეკკლესიებში წირვის შემდეგ არის ლაპარაკი ქურდობის შესახებ: ამას და ამას დღეინ მოჰპარეს, იმას ძროხა, იმას სახლი გაუტეხეს და სუყველაფერი წაიღეს.

თუ გივლიათ ჭიათურის რკინის გზით უსათუოდ გეცოდინებათ „პლატფორმა ბედლევი“; ცოტა ამას ზევით არის სოფლის კანცელარია და გაღმა ყვირილის მარცხნივ ხუთიოდე დუქანი. 7 აპრილს (აღდგომის მეორე დღეს), როცა ყველა მედუქნეები წირვაზედ წავიდნენ და ხალხის ფეხის ხმა მისწყდა, ვიღაცამ გასტეხა ა. დ. კაპანაძის სავაჭრო დუქანი, საიდგანაც გაიტანეს ათ თუმნამდის ფულად და საქონლად. ამას პოლიციამ დროზედ ვერ მიაქცია ჯეროვანი ყურადღება და 27 აპრილს ნაშუადამევის პირველს საათზედ ისევ იმ დუქანს დაეცნენ. იყო მშვენიერი, ნათელი ღამე. ქურდებმა ასტეხეს რევოლვერის სროლა,—თითქო ციხეს იღებენო.—ყველა მედუქნეებმა და ახლო-მახლო მცხოვრებმა გაიგეს, მაგრამ ვერა გაჰბედეს რა.

სწუალმა ა. კაპანაძემ, რომელსაც ერთი იმერული კაბხა თოფის მეტი არაფერი ჰქონია, დასცალა, მაგრამ ავაზაკები მას არ შეუშინდნენ. ერთმა გლეხმა გაბედა და შორიდგან დაუძახა ავაზაკებს: „ვერ წაგვიხვალთ, მივდივართ, მოვდივართო“. ავაზაკებმაც ხმა მისცეს: „თუ გინდათ ცოლ-შვილი დაობლოთ, ჩამობრძანდით და თუ არა—თქვენს სახლში შეეთრიეთო“. ამან უფრო შე შინა ყველანი, ვისაც ესმოდათ გულის შემზარავი ტყვიის ზუზუნი. ერთი თოფი (ბერდენკა), რომ ვისმე ჰქონოდა, ყველას თუ არა, რამოდენსამე მაინც მოჰკლავდა. მაგრამ სად იყო ამ უბედურს დროს? ერთ მედუქნეს რევოლვერი ჰქონდა, რომელსაც ერთის ტყვიის მეტი არ ეგდო და ამით რას იზამდა?

ავაზაკებმა მედუქნე დასჭრეს, ხუთასი მანათი ფულად და ერთი ბილეთი რვაასი მანეთისა წაიღეს. გამობრუნდნენ მუქარით და იქვე გაბმულს ბოსლზედ გამოვიდნენ და გაუდგნენ გზას არხეინად. ამ დროს პლატფორმასთან ახლო მცხოვრებს ილარიონ ჭუმბურიძეს კარი გაეღო და გა-

# ფელეტონი

## მშვიდობით.

(მოთხრობა)

### VI

(დასასრული *)

თუმცა ნინიკას თავის ბიძაშვილები ხშირად ...ოცავდნენ წვრილ ფეხობას, მაგრამ მაინც ...ევ სცდილობდა მათს მოშენებას. ღორების და ...თამ-ბატის გარდა ნინიკას ჰყავდა: უღელი ...რი, მოზვერი, კვებულა და ხბოიანი ძროხა. ...კანასკნელი ისე იყო გათქვინებული და და...ვენილი, რომ მის ბალანზე ვერცხლის წყა...ი აიკრიფებოდა. სალამოობით მოვიდოდა ...ავილით, მოიტანდა რძით სავსე ჯიქანს, ...ჩერდებოდა ზმუილით ნინიკას კარებზე და ...უთმენლად ელოდებოდა თავის შვილს. ანაც ...შინვე გამოაგდებდა ბოსლიდან ხბოს და ...ითონაც სარძევით უკან მოჰყვებოდა. ამას ...ტარა სიკა და სანდროც ტიკტიკით უკან ...ჰყვებოდნენ. დაინახავდა თუ არა ძროხა თა...ს შვილს, გაექანებოდა მისკენ, დასუნავდა ..., რა იცნობდა, ჩემი შვილიაო, გაჩერდებო... ქოტა თავს ამპარტავნულად ატ...ალებდა. ხბოც მიუჯდებოდა სავსე ჯიქანს ...ა კუდის ცანცარით ხარბად ჯლოხნიდა ძუ...ეს. ანა მიუჯდებოდა დიდი სარძევით ჯი...ნს და, ჩაამღერებდა რძეს; პატარა სიკა ...ა სანდრო სიამოვნებით ხან სარძევეს ჩახე...ავდნენ და ხან ძროხას და პატარა ხბოს ...ამაშებოდნენ:—უი-და-და, კუდს ლოგოლ ...კანცალებს, სანდლო, ქბოი—ეტყო და ხო...მე სიკა სანდროს. მალე ანა თავის ბავ...ვებით შემოუსხდებოდნენ ცეცხლზე ასადუღ...ად დადგმულს რძით სავსე ქვაბს და მოუთ...ნლად ელოდებოდნენ მის ადუღებას.

— უი, ადუღდა დედა, გადმოვა—იტყოდა ...კა, როცა რძის შიშხინს გაიგონებდა.

— არა, შვილო, ჯერ აკლია ადუღება—...ყოდა ხოლმე დედა. ამ დროს მუშაობით მოქანცული ნინიკა კარებიდან ჩუმად შემოიპარებოდა, ბუხარს მოეფარებოდა და ხან სიკას კრავდა წკიპარტს, ხან სანდროს. სიკა ფიქრობდა: სანდრო მცემსო, სანდროს ეგონა სიკა მცემსო. მოუვიდოდათ ჩხუბი, დაიქოჩრებოდნენ და აგლეჯდნენ ერთმანეთს თმას. აქ ნინიკა ველარ შეიკავებდა სიცილს და ერთს ღონივრად გადიხარხარებდა—უი, მამა კოფილაო და ორივენი კალთებზე მოეკონწიალებოდნენ.

მაშვრალი ნინიკაც მიიხუტებდა გულში ორივეს, ხან ერთს კოცნიდა და ხან მეორეს და თანაც უსაყვედურებდა: „რატომ თოხნას არ მშველითო“. შვილებს რომ მოისურვებდა, მიუბრუნდებოდა ანას:

— რას გაჩუმებულხარ, მაზლებმა ხომ არ გაგაჯავრეს?

— მაზლები-კი არა, შენ მაჯავრებ—უპასუხებდა ანა.

ნინიკა ანას კისერზე მოხვევდა მაშვრალ მკლავებს, ჩააცქერდებოდა თვალებში და თან ეკითხებოდა:

— რას გაჯავრებ, მითხარი!

— იმას, რომ ჩემზე ძრიელ შვილები გიყვარს!..

აქ მიიკრავდა გულზე ცოლს ნინიკა და გატაცებით კოცნიდა და კოცნითვე იღებდა ანასაგან პასუხს. შემდეგ დასვავდა ანას ტახტზე და კალთებზე მოკონწიალებულ მოცინარე შვილებს ზევიდან დაასხავდა:—ჩიტი ხორა, ჩიტი ხორა—იძახდა სიცილით ნინიკა.

დიალ ბედნიერად სთვლიდა ნინიკა თავის თავს, და რა იცოდა საბრალომ, თუ არსებობის ბრძოლა მას მწარე სამსალას უმზადებდა...

ერთ სალამოს ნახირიდან ძროხა ჩვეულებრივ ბლავილით მორბოდა და ესწრაფებოდა შვილის ნახვას. ამ დროს თომას უმცროსი ძმა ძროხას დაეწია დიდი კომბლით ნინიკას კალოზედ და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაჰკრა რქებ შუა. ძროხამ ბლავილი შესწყვიტა, გადმოსცვივდა სიმწარით ცრემლები, შემოპროწიალდა და დაეცა ძირს. მომავდავი პირუტყვი ნახევრად ღიათ-დარჩენილი თვალებით მკვლელს თითქო ეუბნებოდა: „ჰაი, შე ღრძო, შენა! ამოღენა დედა-მიწაზე ჩემთვის ერთი მტკაველა ადგილი ისე შეგშურდა, რომ უკანასკნელადაც აღარ მაჩვენე ჩემი საყვარელი შვილი?!.

ანას ვიღამაც შეატყობინა: „ძროხა მოგიკლესო“. ანა გიჟსავით გაექანა ძროხისკენ, მას ტირილით უკან გამოუდგნენ ბავშვებიც. წივილ-კივილით მიიჭრა ძროხასთან, აუწია თავი და, რა დარწმუნდა, მკვდარიაო, ხმა-მაღლა მოთქმით იწყო ტირილი. მივიდნენ სიკაც და სანდროც: „ოი, ჩვენი ფუდედაი!!.—და მორთეს ამათაც ტირილი

— ოი, შენს მომკვლელსაც მოსტეხია მარჯვენა,—იწყევლებოდა ანა.

— გაიწყვიტე ე ხმაი, თორე შენც ამ კომბლის წერათ გახდი!—მოესმა ანას ხმა.—ჩვენ ვენახში სიარულით გაფთქვინებული რო იყო და თითო სარძევეს აგივსებდათ, გიხაროდათ განა?!

ანამ დაინახა თუ არა სიბრაზისაგან დორბლების მყრელი მაზლი, მოკიდა შვილებს ხელი და ტირილით გაშორდა იქაობას.

მალე მინდვრიდან მოსული ხალხი შემოეხვივნენ მკვდარ პირუტყვს.

— რა ძროხა იყო! ცოდო არ იყო ამის სიკვდილი?—სთქვა ერთმა.

— სიკვდილი რომელია, თუ-კი წაუხდინა რამე, რა!

— თუ წაუხდინა, გადაეხდევინებინა, მაგრამ შხამიანი რო არი, შვილო, არი! რომელი ქრისტიანი კაცი გაიმ...

— ჰაი, შე კუდიანის შვილო, შენა,—მოესმა მკვლელის ხმა, რომელიც მისკენ კომბლით გამორბოდა—მამაშენისა არ იყვეს, სულ მაგას (ნინიკას) ექომაგებით, რა გიყავით ჩვენა, თქვე მამაძაღლ—ბო, თქვენა, ჰააჰ!—და გაიფრინა ერთი თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ბიჭი.

აი ეს დრო იყო, როდესაც ნინიკა და დათუა, რომლებსაც იმ დღეს ერთად ემუშავათ, სოფელში შემოვიდნენ. აქ ვიღამაც უთხრა ნინიკას: „ძროხა მოგიკლესო“.

— როგორ ძროხა,—შეუტია ნინიკამ—მაშ ასე და ისე მომივიდეს, თუ მკვლელი ზედ არ დავაკალი!.. —ნინიკამ გაქცევა დააპირა, მაგრამ დათუამ დაიჭირა:

— რამდენს გარიგებ,—უთხრა დათუამ,— გეჩიჩინები და კიდევ კეტზე იცქირები! ჰო, იმათი ჩაკომავალი-კი ხარ და „კვიცი გვარზე უნდა ხტოდეს!“ რო გარბიხარ, რაღა უნდა მოუმატო?! ძალის ჩემობ, რას იზავ ძალით?! ჰო, ერთს გასცე პასუხი, ორსა,—სხვესა?! აი რა გითხრა: ნურც გაატყავებ ძროხას და ნურც ხელს ახლებ. მოდი, „სუდის“ გამოუცხადე, მერე მოსამართლეებთან იჩივლე, აქედან მოწმათ დაგვიბარებენ და მერე ჰე ვიცი!

— როდემდინ უთმინო, კაცო, სულს მართმევენ, აღარ შემანარჩუნეს-რა,—დამშვიდებით უპასუხა ნინიკამ, მაგრამ დათუა კიდევ თავისსას ეუბნებოდა...

ბევრის რჩევით დამშვიდებული ნინიკა გაისტუმრა შინისაკენ. თავის კალოზე მან შემდეგი სურათი ნახა: მის ძროხას ხალხი ბუზსავით ეხვეოდა. იქავ ახლო მკვლელი კედელს მოფარებოდა, ყურს უგდებდა ხალხის ლაპარაკს. ვინც გაამტყუნებდა, მაშინვე კომბლით დაიფრენდა. ნინიკას გულმა აღარ მოუთმინა, მივიდა ძროხასთან, დახედა და თითქოს მის თვალებიდან ამოიკითხა: „აბა, ჩემო პატრონო, უსამართლოდ მომკლეს, ვერავინ გამაცოცხლა და შენ მაინც მიშველეო!“ ნინიკამ თავი ველარ შეიმაგრა და თვალ-ცრემლიანმა გაჯავრებით სთქვა:—აგრე შენს მკვლელს მოეგრიხოს კისერი!!.

— ემანდ ხმა იწყვიტე, თორემ შენც ე ძროხასთან დაგაწვენ—მოესმა მკვლელის ხმა.

— ვინ უნდა დააწვინო, შე ბნედიანო შენა?!

— ვინ არის ბნედიანი, შენი დედ-მამის სულიო—და გაექანა ნინიკასკენ. ნინიკამ, რა დაინახა ჰაერში მის დასაკრავათ ამართული თავდალურსმული შინდის კომბალი, უტაცა ხელი, მეორე ხელი წელზე ნაგრა შემოხვია, გადასდო უკანიდან ფეხი, დასცა და დააწვა ზევიდან. წამოდგა უცბად, გულზე ფეხი დააჭირა, წაართვა კომბალი და სამჯერ ღონივრად ცხვირ-პირში წიხლი ჩაჰკრა.

ამ დროს ნინიკამ შეასწრო თვალი, რომ მეორე ძმა კეტით გამორბოდა მისკენ. ნინიკამ მარდად შემართა ჰაერში კომბალი, დასცხო და ისიც გულ-შეწუხებული მიწაზე დაეცა. ამ დროს მისცვივდნენ ხალხი თომას და მის ბიძაშვილს, რომლებიც მიიწევდნენ ნინიკასკენ საცემრად, მაგრამ აღარ გაუშვეს. გაომებული ნინიკა-კი ყვიროდა:—გაუშვით, ერთი მაგათი ვაჟკაცობაც ვნახო,—მაგრამ გამგონი არავინ იყო...

მეორე დღეს თომამ მამასახლისი მოიყვანა და ლოგინში მწოლიარე თავ-პირ დასიებული ძმები აჩვენა. მამასახლისმა ნინიკა სამ დღეს დაატუსაღა ნაობახტში. ნინიკა ჩიოდა აპირობდა, მაგრამ დათუამ დაუშალა: ჩემი სიტყვა გაგეგონა, ხარალს აინაზღაურებდი, ეხლა-კი რომ უჩივლო, უფრო გადაგეკიდებიანო. ამისათვის ნახევარ ძროხისა და ერთი სადილის მეტი არ გადაუხდიათ ნინიკას ბიძაშვილებს. დათუამ შეარიგა ნინიკა თავის ბიძაშვილებს, რომელთაც სუფრაზე ერთი პირი სიმღერაც სთქვეს ერთად...

### VII

ენკენისთვის დღე იყო. გორისში ბავშვებს ყვავილი მოსდებოდა; ზოგს მოეხადა და ზოგს ახლად ეყარა.

ნინიკას უმცროსი ვაჟი—სანდრო—ყვავილმა იმსხვერპლა, უფროს ვაჟს—სიკას—ახლად გამოსჩენოდა და შემზნევებულ-შეწუხებული ეწვათ ლოგინში.

სალამო ჟამი იყო. ნინიკა ადრე მოსულიყო სამუშაოდან; მოსხდომოდენ ცოლ-ქმარი შეწუხებულ სიკას, ჩასციცქინებდნენ თვალე-

*) იხ. „ივერია“ № 96.

მოეხვედნა გარედ, მაგრამ ავაზაკებმა რომ დაუცაცხანეს „სახლში შეეთრიეო“,—იგი ფაცი-ფუცით შევარდა სახლში.

როცა ყველაფერი გათავდა მაშინათვე მამასახლისმა ბოქაულს ტელეგრამით შეატყობინა, რაც მოხდა ბოსლევში, მაგრამ, სანამ ბოქაული მოვიდოდა, ავაზაკები, თუ მოინდომებდნენ, ზოდიაქში ჩავიდოდნენ.

თანამძ.

# კავკასია

განჯის გუბერნიაში, როგორც ვიცით, არის სპილენძის მადანი. იქ, სადაც მადანია, კედაბეგს, არსებობს კედაბეკის ქარხანა. ოდესმე ეს ქარხანა მრავლად იღებდა მადნიდგან სპილენძს, მაგრამ მერე და მერე სპილენძმა იკლო და ქარხანა თითქმის უქმად იყო. 1900 წელს ქარხანამ მიიწვია მინერალოგიის პროფესორი მოსკოვის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტისა ე. ს. ფედოროვი და სთხოვა გამოეკვლია, არის კიდევ მადანში, ან მის ახლო-მახლო, სპილენძი თუ არა. ფედოროვმა საჭიროდ სცნო გეოლოგიურად დაგეგმა იმ ადგილებისა. შარშან ზაფხულს კიდევ იყო ფედოროვი კედაბეგს, რომ გაეგო, რა შედეგი მოჰყვა გეოლოგიურ დაგეგმასა. დაგეგმა უკისრნია მთა-მადნის ინჟინერს ა. გ. ერნს. პროფესორმა გამოიკვლია გეგმა და დაასკვნა, რომ 30 წლის განმავლობაში მხოლოდ ნაწილი ამოუღია ქარხანას მადნიდან, ხოლო დანარჩენი ნაწილი გეოლოგიურ ცვლილებათა გამო მოგროვილა ამა და ამ მთის მწვერვალშიო. ფედოროვს უჩვენებია ქარხნისათვის ის ადგილი, სადაც უნდა დაეწყოთ სინჯვა. სინჯვა დაუწყვიათ და მართლაც ახალი მადანი აღმოუჩენიათ. ქარხანას მაშინვე დეპეშით უცნობებია პროფესორისათვის: მოგვილოცავს გამარჯვება მეცნიერებისა. ვთხარეთ იმ ადგილას, სადაც გვითხარი და აღმოვაჩინეთ დიდი მადანი სპილენძისაო.

# რუსეთი

როსტოვის ოლქის უფროსმა შემდეგი დადგენილება გამოსცა აპრილის 11-ს. 1) აკრძალულია ყოველგვარი კრებები და ყრილობანი, რომელთაც მოსდევსთ მშვიდობიანობის დარღვევა. აკრძალულია აგრეთვე ქუჩებში ხალხის შეკრება და გაჩერება: 2) შეკრებილნი უნდა დაიშალნენ პოლიციის მოთხოვნილებით; 3) თუ ხალხი პოლიციის მოთხოვნილებას არ დაემორჩილება და ქუჩაში უწესოებას მოახდენს, ჯარი იქნება დაბარებული და იაჰალს იხმარს წესიერების აღსადგენად; 4) დამნაშავენი დასჯებიან 500 მან. ჯარიმით ან სამ თვემდე დაპატიმრებით.

— სახელმწიფო საბჭოს დეპარტამენტმა დაასრულა სხყურადღებო კანონ-პროექტის განხილვა, რომელიც შეეხება ქარხნებში და მღვიმე მადაროებში დაშავებულ მუშათა დაკმაყოფილებას. ეს კანონ-პროექტი წელს გადაეცემა განსახილველად სახელმწიფო საბჭოს საერთო კრებას.

— სახელმწიფო რკინის გზებმა შუამდგომლობა აღძრეს გზათა სამინისტროში, რათა მიეცესთ მათ ნება გახსნან სპეციალური სასწავლებელნი მოძრაობის აგენტების მოსამზადებლად.

— უკვე გადაწყვეტილია, მიმდინარე წლის 1 ივნისიდამ შემოიღონ პირდაპირი მიმოსვლა რუსეთის რკინის გზებისა და აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის შორის.

— გაძლიერებული დაცვის დებულების მოქმედება ქ. ტაშკენტში, სირ-დარიის ოლქის —ტაშკენტის, ჩემკენტის, აულიეათის მაზრებში, ფერგანის და სამარყანდის ოლქებში 1903 წლის 19 სექტემბრამდის განაგრძეს.

— რადგან რუსეთის რკინის გზების მატარებლებში გახშირდა მგზავრთა გაცარცვა და ზოგჯერ მკვლელობაც-კი, გზათა სამინისტროს წინადადებით, მოძრაობის სამსახურის წარმომადგენელთა კრებამ შეიმუშავა შემდეგი საშუალებანი ამ სამწუხარო შემთხვევათა ასაცილებლად: 1) უნდა გაძლიერებულ იქნას მატარებლებში კონდუქტორების რიცხვი, 2) ღამე უნდა მიემატოთ იმათ განსაკუთრებით დანიშნული მსახურნი, 3) ვაგონის კუპეებს შუა კარებს ორივე მხრივ უნდა ჰქონდეს დასაკეტი მოწყობილება, ასე რომ ამ კარების გაღება მხოლოდ მგზავრთა თანხმობით უნდა იქნას შესაძლებელი.

— ვლადიმირის გუბერნიის დიდ სოფელ გუბინსკში სასოფლო ყრილობა მოხდა. გლეხები სოფელში გამართულ სახელმწიფო ღვინის სავაჭრო დუქნის დახურვას თხოულობდნენ. დაგვღუპა, მიწასთან გაგვასწორა ამ დუქანმაო; სამი წელიწადია უკვე მისი დაარსების შემდეგ და ბევრ გლეხებს გამოაცალა ხელიდან სარჩო-საბადებელი ამ დროს განმავლობაშიო.

— ფინლიანდიაში ბეჭდვითი საქმის უმთავრესი გამგეობის განკარგულებით, გამოუცხადეს გაფრთხილება ქ. ჰელსინგფორსის გაზეთს Helsingfors-posten-ს.

— მიმდინარე წლის შემოდგომისათვის განზრახულია მოახდინონ ქ. პეტერბურგში კრება რუსეთის მეურნეთა წყლით-დღვების საქმის გასაუმჯობესებლად. კრებამ უნდა განიხილოს საკითხი შიდა რუსეთში წყლით-დღვების უმაღლესი სასწავლებლის დაარსების შესახებ.

# უცხოეთი

**სერბია.** ამ რამდენისამე დღის წინად ბოლგარიის მინისტ-პრეზიდენტმა აცნობა ქვეყანას, „ფრემდენბლატის“ რეპორტერის პირით, თავისი აზრი მაკედონიის საქმეზედ; ახლა ბალკანეთის სხვა მცირე სამეფოს წარმომადგენელი, სერბიის პირველი მინისტრი მილოშ პეტრონევიჩი აცხადებს თავის აზრს იმავე საგანზე. აი, რაები უთხრა მინისტრმა „N. Fr. Presse“-ს კორესპონდენტს მაკედონიის საქმის თაობაზედ. „სერბიის ხალხი დამშვიდებულის გულით, ფხიზლად და სრულის ნდობით მოელის მომავალსაო. ხალხი ცოტას სჯერდება და თავის მცირე სურვილს როდი ჰფარავს ფანტასტიურის ნაციონალურ-ისტორიულ მისწრაფებით. სერბიას მაგისათვის როდი სცალიან: წინ არჩევნები უდევს და თავისი შინაური მდგომარეობა გამოსარკვევი აქვს, ამიტომაც მაკედონიის საქმე მისის ბედისთვისვე მიუნებებია და არ აპირებს გააშწვავოს ისედაც გაძნელებული მდგომარეობა. საზღვარზედ დაყენებული ჯარები საუცხოვოდ მოთავსებულან რისტოვიჩის სიმაგრის ოსმალოს მეციხოვნეებთან და ერთად დაიარებიან სადარაჯოდაო“. პეტრონევიჩის აზრით, სალონიკში მომხდარ აფეთქებამ მხოლოდ უარეს მდგომარეობაში ჩააგდო მეამბოხენი, რადგან ევროპის თანაგრძნობა მოაკლო. მეამბოხეთა მოთავეებს სწადდათ, რომ დიდნი სახელმწიფონი ჩარეულიყვნენ მაკედონიის საქმეში და აჯანყებულს მაზრებში ჯარები ჩაეყენებინათ. სალონიკის ქუჩებში გამოწვეულის შიშით უნდოდათ ბირჟას თავს ზარი დასცემოდა, იმ იმედით, ვითომც თუ საქმე ჯიბის ინტერესს მიადგა, ევროპა აღარ მოერიდება ოსმალეთსაო. მაგრამ იმედი არ გამართლდა.

**იტალია.** უკანასკნელ კრებაზე პალატაში დეპუტატი ჩიკოტო შეეკითხა კაბინეტს: როგორის თვალით შეხედა იტალიის მთავრობამ ინგლისის მთავრობის წინადადებას, რომელიც თხოულობდა ყველა დიდ სახელმწიფოების მიერ ფლოტის შემცირებასო. საგარეო საქმეთა მდივანმა ბაჩელიმ უპასუხა: მართალია, ბალფურმა და ფოსტერმა განაცხადეს პალატაში, რომ ინგლისი მზადაა ფლოტი შეამციროს. ამას ინგლისი მხოლოდ მაშინ შეასრულებს, როცა მის წინადადებას სხვა სახელმწიფოებიც დასთანხმდებიანო. მაგრამ გავიდა ამდენი ხანი და ინგლისს-კი არაფერი უმეცადნია თავის განზრახვა სისრულეში მოეყვანა და საქმის თაოსნობა თითონვე ეკისრა. ამიტომაა, რომ იტალიას არც ავი უთქვამს და არც კარგი ინგლისის განზრახვაზე. დღეს-კი ევროპის ყველა დიდ სახელმწიფოებმა განაძლიერეს თავისი ფლოტი. იტალია-კი უკანასკნელი წლების განმავლობაში, ფინანსიური მიზეზების გამო, მუდამ ამცირებდა ფლოტის ხარჯებს. დღეს რომ გვაცნობოს ინგლისმა თავისი წინადადება,—ეს მეტად დაგვიანებული იქნება და ამისთვის იტალია ჯერ-ჯერობით გადაჭრით ვერაფერს იტყვისო.

— როგორც „Tribuna“ იტყობინება, იტალიიდგან გადასახლება პროგრესიულად მატულობს. გადასახლება გამოწვეულია ეკონომიური კრიზისის გამო, რომელიც ასე სწრაფად მოედო მთელს იტალიას. იანვარში იტალიიდან გარდასახლებულა ამერიკაში 14,000 კაცი, თებერვალში—24,000, მარტში—46,000. ე. ი. სულ სამი თვის განმავლობაში—84,000.

**ოსმალეთი.** როგორც „ბეოგრადსკე ნოვინე“ გადმოგვცემს, ხონთქარი შეჰკითხებია ოსმალეთის ყველა ფაშებს, დაუწყოთ თუ არა ომი ბულგარიასო. ყველა ფაშებს თანხმობა გამოუცხადებიათ ომის დაწყებისა; ისინი ასაბუთებენ ომის აუცილებლობას ერთი იმით, რომ ბულგარიამ ამ უკანასკნელ დროს სრულებით დაჰკარგა(?) ნდობა ევროპის თვალში და ამისთვის მას არავინ გამოესარჩლება. ესეც რომ არ იყოს, ომის გამოუცხადებლობის მაზეზად მთელი ევროპა და მათ შორის ბულგარიაც ოსმალეთის იმპერიის სისუსტესა და უძლურებას ასახელებენო. მაგრამ ხონთქარი ჯერ-ჯერობით მაინც უარზე სდგას არ უჯერებს ფაშების წინადადებას ომი დავიწყოთო.

# ნარკვევი

„Вѣстн. закав. жел. дор.“-ის მე-10 ნომერში საინტერესო მოხსენებაა მოთავსებული ექიმი ნ. ა. ხუდადოვისა, რომელიც შეეხება რკინის გზის საავადმყოფოში მსახურთა გაჭირვებულ მდგომარეობას.

ყველაზედ უფრო მძიმე და აუტანელი ჯაფა რკინის გზების საავადმყოფოში მსახურთა (больничные служители) აწევთ კისერზედ,—ამბობს ბ-ნი ხუდადოვი,—ბევრს სწერენ და მსჯელობენ რკინის გზის მეისრეთა, მატარებლების შემადგენელთა შესახებ, სცდილობენ, მათი მდგომარეობა გააუმჯობესონ, რკინის გზის საავადმყოფოებში მცირე მსახურთა მდგომარეობა-კი უყურადღებოდ არის დატოვებული, იმ დროს, როცა მათი ჯაფა ყველაზედ უფრო ხანგრძლივი და მძიმე და ძლიერ მცირე ჯამაგირი ეძლევათ. მეისრეები და მატარებლების შემადგენელნი მუშაობენ 12 საათს და შემდეგ 24 საათის განმავლობაში თავისუფალნი არიან, საავადმყოფოში მსახურთაკი სრულებით არა აქვთ თავისუფალი დრო და ამასთან ცოტა სძინავთ; სადმე იატაკზედ, ან კორიდორში უნდა მიეგდონ, რადგან ადგილიც არა აქვთ დასასვენებელი. საავადმყოფოს მსახური დილის 5 საათზედ იწყებს მუშაობას და მუშაობს სადამოს ცხრა საათამდის, ე. ი. 16 საათს და მხოლოდ $1/2$—$3/4$ საათი დრო ეძლევა სადილისათვის; ამ დროსაც არ ასვენებენ, წამ და უწუმ უძახიან მძიმე ავადმყოფებთან, რომელთაც დაუყოვნებლივ სჭირდებათ შველა. სადამოს 9 საათის შემდეგაც არ არის საავადმყოფოს მსახური თავისუფალი. ღამე მორიგად არის ხოლმე მძიმე ავადმყოფებთან $1^1/_2$ საათის განმავლობაში. ამნაირად იგი დღეში 17 საათს მუშაობს და 7 საათი რჩება ძილისა და დასვენებისათვის.

მკითხველი ნათლად ხედავს, რომ ნამდვილი „კატორგა“ რკინის გზების საავადმყოფოში ყოფილა დაწესებული მცირე მოსამსახურეთათვის. კატორგაში, მადნის სამუშაოში დამნაშავე ბოროტ-მოქმედთ, ჰგზავნიან, საავადმყოფოს მსახურთა დანაშაული-კი ის არის, რომ ისინი ავადმყოფთ უვლიან, თავის მოყვასთ ეწევიან ქძიმე გასაჭირში. ამიერ კავკასიის რკინის გზების გამგეობა ქების ღირსია. მან საქვეყნოდ გამოაცხადა თავის ორგანოში, აი რა ყოფაში ჩავაყენე ჩვენი მცირე მსახურნიო. ამიერ კავკასიის რკინის გზები მილიონებს აბრუნებენ და მცირე მსახურთა გაჭირვებულ მდგომარეობას-კი ვერაფერი მოუგვარეს აქამდის.

ნ. ა. ხუდადოვმა რკინის გზის საავადმყოფოს ექიმთა საბჭოში წაიკითხა თავისი მოხსენება, საავადმყოფოს ყველა ექიმები თანაგრძნობით დაუხვდნენ ბ-ნ ხუდადოვის მოხსენებას და გადასწყვიტეს, აირჩიონ კომისია ამ საკითხის გამოსარკვევად.

# წერილი
## რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

I

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემულ გაზეთ „ივერიის“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ დიდად პატივცემულ ქველმოქმედს სტეფან კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილს ამ 1903 მთელი წლით ალაგირის ქართული სკოლისათვის ჟურნალ „მოგზაურის“ გამოწერისათვის.

სამკითხველოს გამგე პეტრე მეტრეველი.

II

27 აპრილს 1903 წელს დ. ჯალალოღლიში მე 7 მორტირის არტილერიის საკრებულო დარბაზში, თანახმად ჩემის თხოვნისა, იყო გამართული ნ. დ. მაკარაშვილის და გნეინა პ. მ. ჩხეიძის თაოსნობით შინაურული წარმოდგენა სამუსიკო განყოფილებით,“ ქარ. შორ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ ბაზრის სასარგებლოდ, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: ქ.ქ: სვეტიკუდრინისამ, ოატისამ, ალდადონოვისამ, ანდრიევსკისამ, მაციაკოვსკისამ, და სხვ. ბ-ნთ პოლკ. ჩისტოვსკიმ, აბერტმა, გედემანმა, ალდადონოვმა, ხასლავსკიმ, ოატმა, ლერიპაცკიმ, ლიულკამ, ორანოვსკიმ, რუტეცკიმ და სხვ.. შემოსავალი იყო ბილეთებისა და ბუფეტისა—126 მ. 76 კ. ხარჯი: ბუფეტის და კიოსკების გამართვაში, მუზიკანტების გამასპინძლება და სხვა წვრიმალი—სულ 65 მან. 10 კაპ., სრული შემოსავალი დარჩა 60 მნ. და 57 კაპ., რომელიც უკვე გავუგზავნე კნეინა ოლგა თად.ასულს ჭავჭავაძისას. დიდ მადლობას ვუძღვნი, როგორც გამმართველთ, ისე ყველა მონაწილეობის მიმღებთ და მთანაგრძნობელთ სადამოს გამართვაში.

ქეთევან ლუარ აბის ასული ყურ ელისა.

---

ბში, ნაზის ხმით დასძახოდნენ „იავ-ნანას“ და დრო-გამოშვებით ბუხარში ბაზმას უჩხრიალებდნენ. სიკოც ხან ახელდა თვალებს და ხან დახუჭავდა.

— ნინიკა, გაიხედე, უთუოდ ჩვენი ბურვაკი დაიჭირეს მაგ შხამიანებმა—უთხრა ანამ, როდესაც გარედგან ღორის ჭყვირილი შემოესმათ. ნინიკა გავარდა გარედ და შემდეგი სურათი დაინახა: თომას დაეჭირა ნინიკას ბურვაკი, ფეხებით და ხელებით დასწოლოდა და ძმებს უყვიროდა: „დანა მამიტათ“-ო! თომას ძმები ქალებს სიმინდს არჩევინებდნენ და ანარჩევ ჩალას ჰკონავდნენ. ნინიკა გაქანდა, ორივ ხელები გამეტებითჰკრა დაკუზულ თომას და კურტუკუმა უკან გადააკოტრიალა. განთავისუფლებული ბურვაკი ღრუტუნით გაქანდა სახლისკენ. თომა წამოხტა და გინებით მივარდა ნინიკას. მას მიჰყვნენ ძმებიც, მაგრამ ნინიკამ თომას ლონივრად მოხვია მკლავები, თავის ფეხით ორთავ ფეხები გამოაცალა და მოსხვეპილი თომა მიწაზედ გაიშხლართა. თომას თავი დაანება ნინიკამ და ახლა მის ძმებს შეუტია. მალე ისინიც შემოიფანტა, მაგრამ ბოლოს დაღალულობა იგრძნო მკლავებში, ითხივენი ირგვლივ შემოერტყნენ, წააქციეს და თუმცა ქვეშიდანაც ომობდა ნინიკა, მაგრამ მაინც კიდევ ბევრი სცემეს წიხლი თუ მუშტი გულ-გვამში. ამ ჩხუბზედ და ყვირილზე გულ-გახეთქილი ანაც გამოვარდა გარეთ და, რა დაინახა ნინიკას მდგომარეობა, საშინელის წივილ-კივილით იწყო სახლში წინუკან სირბილი. ამ დროს მოცვივდნენ მეზობლები და ძლივს გააგდებინეს ნინიკა ხელიდან. ნინიკამ თითო ნიშანი მაინც დასდო თავის ბიძაშვილებს: ზოგს ცხვირი გაუტეხა, ზოგს თითი მოსტეხა, ზოგს მკლავი უღრძო. ნინიკამ შინ მისვლისათანავე საშინელი ტკივილი იგრძნო გულ-გვამში, მაგრამ ანასთან ვერ გაბედა ამაზე რამის თქმა.

ძლივს დაიმშვიდა გული შეშინებულმა ანამ, აანთო „კრუჭკა“, დადგა ბუხრის რაფაზე და მიიჭრა ნინიკასთან. ნინიკა სულ გამელილი მისწოლოდა ავადმყოფ სიკას გვერდზე და ფიქრობდა იმაზე, რომ ლაჩრად არ გაელახვინა თავის ბიძაშვილებს. თუმცა ამასაც ბევრი სცემეს, მაგრამ თავის ვაჟკაცობით მაინც კმაყოფილი იყო.

— ვაიმე, დედა, დედა!—უცფად შეშინებულის ხმით დაიკივლა სიკამ და პატარა ხელით მიაწვა ნინიკას. ნინიკამაც გვერდზე მიიწია, მაგრამ სიკა მაინც არ დაკმაყოფილდა ამით და ფეხების ფანთხალით, წივილ კივილით გადიხადა საბანი.

შეკრთალი ანა მიიჭრა სიკასთან, დაუყვავა და ტკბილის ხმით „იავნანა“ დაიწყო. სიკა დამშვიდდა, დახუჭა თვალები, მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ თვალებ დაჭყეტილმა ისევ მორთო წივილ-კივილი...—ადამიანო! ნაჩხუბარი რო მოუწექი მა „ბატონებიან“ ყმაწვილს რას ფიქრობ?!

ნინიკა ძლივს წამოდგა ზეზე, მივიდა ბუხართან და დაჯდა. სიკო წამოვარდა ზეზე, დაიწყო წიოკობით სირბილი, და ხან კედლის კუნჭულში იმალებოდა, ხან ტახტ ქვეშ ძვრებოდა. ანა დასდევდა ტირილით, სცდილობდა მის დამშვიდებას. ნინიკამ გარედამ ორი თხილის წკნელი მომიტანა, მოგრიხა, ერთი თითონ შემოირჩოლა კისერზე და მეორე ანას.—თქვენი ჭირიმეთ ბატონებო, უშველეთ პატარა სიკას, შეიბრალეთ, თქვენი მობრძანების ჭირიმე—ეხვეწებოდნენ გამწარებული დედმამა „ბატონებს“ და თან ბაზმას უნთებდნენ. მაგრამ სიკა თავისას მაინც არ იშლიდა. ბოლოს დაიღალა სიკა, დააწვინეს ლოგინში და მოუწვნენ თითონაც აქეთ-იქით და საცოდავად ჩასტიროდნენ ენა ჩავარდნილს ბავშს. მამლებმა კიდეც იყივლეს და არც ცოლს და არც ქმარს თვალზე ლული არ მოსვლიათ. გათენებისას ასტეხა სიკამ უკანასკნელი ხრიალი და თქვენი ჭირიც წაიღო...

ბევრი იტირეს შვილი, ბევრი ივაგლახეს, მაგრამ სიკო მაინც უძრავად იდო.

მის სიკვდილს შემდეგ ნინიკაც ჩავარდა ლოგინად და პირიდან სისხლი ამოჰქონდა...

VIII

მარტის უმთვარო ღამე იყო. შორს, მორს ცის სივრცეში ოდნავ მბჟუტავი ვარსკვლავები მოჩანდნენ. სიბნელეს და სიჩუმეს მოეცვა მთლად არე-მარე. მხოლოდ დრო გამოშვებით ხვალინდელი აღდგომის მილოცვა და შემდეგ მწყობრი „ქრისტე“ არღვევდა სიჩუმეს გორისძი. დიახ, ხვალ „აღდგომა“ იყო და აგერ თენდებოდა კიდეც...

გორისელებს დაემზადებინათ ბედნიერი დღის მისაგებებლად სუფთა ტანისამოსი, კვერცხები წითლად დაეღებათ, თითო-ოროლას ხორცი მოეხარშად, ჩაექროთ სანათები, და ლოდინში მისცემოდნენ ტკბილ ძილს „ბრწყინვალე აღდგომის“ დღეს.—ყიყლიყოო!—გაისმა მამლის ყიყილი, რომელსაც სოფლის სხვა-და-სხვა კუთხიდგან სხვა მამლებმაც მისცეს პასუხი.

— ყიყლიყოო! განმეორდა მამლის ძახილიდა მას მოჰყვა ზარის ხმაც. გორისელები წამოიშალნენ, ფაცა-ფუცით ჩაიცვეს ტანისამოსი, დაიბანეს ხელ-პირი, ჩაიწყეს ჯიბეებში წითელი კვერცხები, დაიჭირეს სანთლები და გასწიეს ეკკლესიისაკენ. ხალხი მოგროვდა საყდართან, მობრძანდა მღვდელიც და დაიწყეს ლიტონიის შემოვლა. ყველას პირზე ღიმილი ოსდიოდა, ყველა მხიარულობდა. მღვდელი გაიძახოდა: „ქრისტე აღსდგა!“ და მას ხალხი გრიალით უპასუხებდა: „ჭეშმარიტად აღსდგა!“-ო.

სად არიან ნინიკა და ანა?!.

გზის პირას იდგა ერთი მიწური ბოსელი. ჩრდილოეთით კედელში სანათური (პატივის გასაყრელათ) ქონდა დატანებული. აქეთ-იქით გვერდებზედ ოდამდის უსწორ-მასწოროდ რგვალი ხეები იყო დაგებული. შუაში (სანარწყალში) აქა-იქ ამოღრმავებულს ფოსოებში საქონლის წუნწუხი იდგა; აღმოსავლეთით კედელში კარები ქონდა დატანებული; კარებს ზევით ხალხის სადგომათ ოდა იყო მოწყობილი. ოდას ჰქონდა სიგანის კედელში პატარა კარები საათონეში შესასვლელათ. ბუხრის მარჯვნივ კედელში დატანებული იყო თარო, რომელზედაც ელაგა ორიოდ ჯამი, რამდენიმე კოვზი, ბოთლები და სხვა ჭურჭელი. ჩრდილოეთისკენ კედლის ძირში მწკრივათ იდგნენ: სკივრი, კიდობანი, საწყლე (ლიტრა), დოქი და კუნძი, რომელზედაც ჭუჭყიანი და დაგლეჯილი ლოგინი ელაგა. მეორე მხარეს კედლის ძირზე იდგა ტახტი, რომელზედაც სულთ-მაბრძოლი ნინიკა იწვა. თვალ-ცრემლიანი ანა მოსჯდომოდა გვერდით, თვალებში ჩასცქეროდა და თან ეკითხებოდა:

— ნინიკა, რას ათვალიერებ?! მითხარი, რა გინდა?!.

— კა...ი...მეჰ...ვაი...მეჰ..ფინთათა...ვარ; მი...შვე...ლე, მიშველე შენი ჭირიმე, მიშ...ვე..ლეეე!!!—ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოსთქვა ნინიკამ და შეუწუხდა გული...

ანამ დაისველა წყლით ხელი და მოუსვა ნინიკას გულზე. მოხვდებოდა თუ არა ცივი ხელი გულზე, ნინიკა თვალებს აახელდა:

— უჰ...უჰ...რა მიამა...ვაიმეეე...რა...ღას მაწ..ვა...ლებ შენი ალა...რა...ვარ...უნდა გა...მო...გეთ...ხოვოოო!..

აქ ანამ ვეღარ მოითმინა, გულ-ამომჯდარი დაეკონა ნინიკას და ჩასძახოდა:

— შენი ჭირიმე, ნინიკა, რო გამომეთხოვო, ვისას ამარი მტოვებ ამ ტანჯულს წუთი-სოფელში?!. ეგ არის ჩვენი პირობა?! ვერ გაგგზავნი, ვერა, შენი ჭირი...მეე!..

ანას ტირილზე ნინიკასაც მოერია თვალებში ცრემლები, უნდოდა ეთქვა რამე, მაგრამ ვერ მოახერხა. ენა დაება...

— მშვი...დო...ბით—უკანასკნელად მოისმა ნაწყვეტ-ნაწყვეტად ნინიკას ხმა და სამუდამოდ დახუჭა თვალები...

გათენებული იყო, როდესაც ანას ტირილზე წიოკობაზე შემოცვივდნენ მეზობლები და გულ-წასული ანა ძლივს მოაშორეს ნინიკას გაციებულ მკერდს..

IX

დამარხეს ნინიკა და დარჩა მარტოდ-მარტო ანა მიწურ ბოსელში. ქმარ-შვილის სიკვდილის შემდეგ, ანა სიკვდილს შესთხოვდა ღმერთს. მას უნდოდ ქმრის დამარხვისათანავე თავი მოეკლა, მაგრამ იფიქრა:

— ქმრის ვალიდანაც ამოვალ: პანაშვიდს ვახდევინებ, წლის წირვას გადავუხდი, კარგ სურათიან ქვას დავადებ და მერე...

ასე ფიქრობდა ანა, მაგრამ მოსტყუვდა; ნინიკას, რაც რამ ქონება ჰქონდა, მისი ბიძაშვილები დაეპატრონნენ და ანას გაყიდვის ნებას არ აძლევდნენ. თუმცა დათუასაც შეეხვეწა ანა: მიშველე რამეო, მაგრამ მან ყურიც არ ათხოვა; არა ერთხელ მიმართა სამართალს, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა—ეუბნებოდნენ: „შენი ქმრის ქონება შენს მაზლებს ეკუთნით და შენ საზრდოს მოგცემენო“. ანა-კი ეფიცებოდა: „არაფერს მაძლევენო“, მაგრამ ასე უპასუხებდნენ: „წადი და „სუდში“ უჩივლეო“. ნინიკას ბიძაშვილებმა მისი მამული ზოგი საქერეთ მოხნეს, ზოგსაც სასიმინდეთ უპირობდნენ მოხვნას და ერთ დღეს ნინიკას ვენახშიც დაიწყეს მუშაობა. ანამ გაიგო თუ არა ვენახის დაჭერაც უნდათო, გაწიწმატებულმა გასწია ვენახისკენ:

— არა გრცხვენიანთ—უთხრა ანამ—ქმრისთვინ ჯერ მიწაც არ დამიყრია, მონიშნებივით მადგეხართ და პირში ლუკმას მაცლით?! გასწით, გასწით, გამეცალეთ, ამ ჩემ ოხერ ვენახს მე მოვუვლი...

— სად უნდა გაგეცალოთ, შე კუდიანო, შენა! ქმარი ამოიჭამე და ჩვენც უნდა ამოგვიჭამო?!.

ასე უყვიროდა ანას თომა და თან ნიჩბის ტუტუტურით გარბოდა მისკენ. ანა ქვა ნაკრავივით გამობრუნდა და გაიშურა სახლისკენ, მაგრამ თომა მალე დაეწია, წაჰკრა ნიჩაბი და ცხვირი მიწაში წააყოფინა.

III

„ცნობის ფურცლის" № 2139-ში მოთავსებულია კორესპონდენცია ბ-ნის „სანდროს" [illegible]

[illegible]

ღრობით პიათოფელი.

## შემოწირულება.

I

ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ [illegible]:

1. [illegible] 60 მნ. და 57 კ., [illegible]
2. [illegible]
3. [illegible] და 25 არშინი სხვა და-სხვა ჩითი.

II

[illegible] 50 კ., [illegible] 20 კ., [illegible] 50 კ., [illegible] 5 მ.

„ივერიის" ფოსტა

[illegible]

---

[illegible]

## დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

3 მაისი.

**სარატოვი.** ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა აიღოს საობლიგაციო სესხი ექვსი მილიონი მანეთი კანალიზაციისა, საელექტრონო განათებისა და მოკირწყვლისათვის.

**ბირმინჰამი.** ამომრჩეველთა კრებაზე ჩემბერლენმა წარმოსთქვა სიტყვა. მინისტრმა განაცხადა, რომ სახელმწიფო პოლიტიკისაგან არის დამოკიდებული შესძლებს დიდი ბრიტანიის იმპერია, თავისუფალ ერად გაერთიანებული, გაუმაგრდეს ქვეყანას, თუ დაიყოფება იგი ცალკე შტატებად, რომელნიც მხოლოდ თავიანთ ინტერესებს გაუწევენ სამსახურს. ახალშენების ძალა რომ მეტროპოლიის ხელთ იყოს იმ დროს, როდესაც დიდი ბრიტანიას განსაცდელი მოელის, ეს საქმე ყოველის მსხვერპლის ღირსი იქნებოდაო.

**შტუტგარდტი.** ახლად დანიშნული რუსეთის ელჩი ბარონი ბუდბერგი გუშინ მეფემ მიიღო.

„კელ. ცაიტ." იუწყება, რომ მომავალ სამხედრო მინისტრად მხედველობაში ჰყავთ გენერალი ეინემი, სამხედრო დეპარტამენტის დირექტორიო.

**სოფია.** სამინისტრო კრიზისი გამოიწვია კერძო ხასიათის მოსაზრებამ, რომელიც შეეხება საერო განათლების მინისტრს რადევს. მთავარს აზრადა აქვს შეადგინოს საკოალიციო კაბინეტი. პოლიტიკა, განსაკუთრებით მაკედონიის საკითხის შესახებ, წინანდელი იქმნება. სავოვი სამხედრო მინისტრად დარჩება, ჰფიქრობენ, რომ დეპუტატი ბობჩევიც მოხვდება კაბინეტის წევრთა შორის.

**სოფია.** პროფესორებმა და მასწავლებლებმა მოწოდებით მიჰმართეს განათლებულ ქვეყანას; სთხოვენ კონტროლი გაუწიონ იმ საგანგებო სასამართოს, რომელიც ასამართლებს აჯანყებაში ტყუილად ბრალდებულ მასწავლებელთ. მოწოდების ავტორნი ამბობენ, მოწყალებას-კი არა, სამართლიანობას ვთხოულობთო.—კიუსტენდილიდან იუწყებიან, რომ აქ მოვიდა რამდენიმე კაცი, კრატკოვის ოლქიდან გამოქცეულიო.—ბოლგარელ პუბლიცისტთა საგანგებო კრებამ გამოსთქვა სურვილი, რომ მთავრობამ უარ-ჰყოს ის ცილის წამება, რომელიც დასდევს ბოლგარიის სამღვდელოებას, მასწავლებელთ და მაკედონიის სხვა ჩოლვაწეთ. ამის შემდეგ კრებამ მადლობით მოიხსენია რუსეთისა, საფრანგეთისა და ევროპის დანარჩენ სახელმწიფოთა პრესსა, რომელიც მაკედონიის საქმეებს ობიექტიურად ექცევა.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. საზღვაო ბიუჯეტის განხილვის დროს რობერტსონმა სთქვა: საადმირალოს უნდა ახალ გემების აგებაზე იმდენივე დახარჯოს, რამდენსაც რუსეთი, საფრანგეთი და გერმანია ერთადა ხარჯავენო. ორატორმა მოითხოვა, მთავრობა ეცადოს როგორმე სხვებთან ერთად საზღვაო ხარჯის შემცირებას. დილკმა განაცხადა, რომ შეიარაღების შემცირებისთვის სხვა სახელმწიფებთან შეთანხმება ტრაქტატების შემწეობით უფრო ომს გამოიწვევს, ვიდრე ხელს შეუშლის; ყოველს შემთხვევაში საფრანგეთსა და ინგლისს შეუძლიანთ განიხილონ ეს საქმე და გამოარკვიონ, შესაძლებელია თუ არა რუსეთთან შეთანხმება. თუნდაც რომ გერმანია არ დასთანხმდეს, ამ სახელმწიფოებს მაინც შეუძლიანთ ხარჯის შემცირებაო. ფორსტერი სცდილობდა დაემტკიცებინა, რომ საადმირალოს მოთხოვნილება საჭიროებით არის გამოწვეული; საფრანგეთი და რუსეთი ჰფიქრობენ სამის გემით მეტის აგებას, ვიდრე ინგლისიო.

4 მაისი.

**სტამბოლი.** პორტა ძალიან ცდილობს დაითანხმოს სახელმწიფონი, რომელთა გემები სალონიკში დგანან, უკანვე წაიყვანონ გემები.

მაკედონიისა და ადრიანოპოლის სამ ვილაიეტში კიდევ ატუსაღებენ საეჭვო ბულგარელებს. საპატიმროები აივსო და ახლებს აშენებენ.

**ცეტინიე.** მემკვიდრე და მისი მეუღლე საზღვარ-გარეთიდან დაბრუნდნენ.

**სტამბოლი.** იპეკს ორის მხრით მიადგა ჯარი: ნასირ-ფაშა მიტროვიციდან, ხოლო შემსი-ფაშა—დიაკოვის მიდამოებიდან. 2 მაისს ჯარები იპეკს შევლენ. ალბანელთა მეთაურების უმრავლესობამ უარი სთქვა რეფორმების წინააღმდეგობაზე. ოპპოზიციონური ელემენტები ჩრდილოეთისაკენ წავიდნენ, რუგოვის ტყეებში. აჯანყებულ ალბანელებმა 1 მაისს სროლა აუტეხეს შემსი-ფაშას ჯარებს; ჯარმა იერიში მიიტანა აჯანყებულებზე; მცირე ბრძოლის შემდეგ ალბანელები დაჰნებდნენ.

**სოფია.** მინისტრთა საბჭომ დაადგინა შეუდგეს დიდის ტაძრის შენებას ალექსანდრე ნეველის სახელობაზე; შეგროვილია მილიონ ნახევარი ფრანკი; შენობას დასჭირდება 2 ნახევარი მილიონი ფრანკი; შენობის აგების საქმე მიენდო რუს-პროფესორს პომერანცევს.

**პეტერბურგი.** „პრავიტ. ვესტნიკ"-ში დაბეჭდილია საერობო დებულება ვილნოს, ვიტებსკის, ვოლინის, გროდნოს, კიევის, კოვნოს, მინსკის, მოგილევის და პოდოლის გუბერნიებისათვის.

5 მაისი.

**პეტერბურგი.** ნება დართულია გაზ. „ნოვ. ვრ."-ის ცალკე ნომრობით სიყიდვა.

**სოფია.** ოსმალეთის მთავრობა ძალზედ აგებს სიმაგრეს, საზღვარზე ეგრიცერასა, პალანკასა და დევებაირამის შუა.—მაკედონიისა და ადრიანოპოლის ვილაიეტიდან გაქცეულნი ბოლგარიაში გადადიან.—მთავრმა ფერდინანდმა შეიწყნარა დანევის კაბინეტის გადადგომა და დაავალა სამსახურს გარედ მყოფ გენერალ პეტროვს ახალი კაბინეტის შედგენა. სამინისტრო ჯერ არ შემდგარა. მთავარი სცდილობს შესდგეს სამინისტროს სხვა-და-სხვა დასების წარმომადგენელთაგან. მოლაპარაკება აქვთ პეშოვის, კარაველოვის და სხვათა საერო დასების წარმომადგენლებთან.

**სტამბოლი.** ოსმალოს ჯარები შევიდნენ იპეკში მაისის 2-ს საღამოთი. ალბანელთა საწინააღმდეგო მოქმედება არრატს დასრულებულად მიაჩნია.

ის ხმა ვითომც ორიანტ-ექსპრესის მატარებლისათვის თოფები უსროლიათ არ გართლდა. პორტა იუწყება,—სოფიიდან მოსული ამბავი,—ვითომც ბულგარიის ეპისკოპოსი გერასიმე დაეპატიმრებინოთ სტრუმნიცაში—მართალი არააო.

**ორენბურგი.** დიდის ამბით ჩაყარეს საძირკველი ორენბურგ-ტაშკენტის რკინის გზის პირველის შენობისა ტურღაის ოლქში.

**პეტერბურგის ბირჟა, 2 მაისს**

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,95 |
| ბერლინში 100 მარკაში | 45,25 |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,85 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | 37,75 |
| ბირჟის დისკონტი | 5—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 98¾ გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | 100⅞ მყიდ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულთ ბანკისა | 95⅜ წვ. მყიდ. |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 37 გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 335½ წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 287½ გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | 9800 წვ. გაყ. |
| აქციები ,, ,, ,, ,, | 485 წვ. გაყ. |
| ,, კასპიის ამხანაგობისა. | 3725 წვ. გაყ. |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | 401 გაყ. |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 196 წვ გაყ. |

---

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათუმს:**—1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

**ბაქოს;** 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

**ყარსსა და ერევანს:** 1) საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 12 ს. 38 წ.

**ბორჯომს:** 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № 9/10 დილის 6 ს. 21 წ.

**ბ) ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 21 წ.; 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ.

**გ) ბაქოდგან გამოდის:**

**ტფილის-ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 4 ს. 40 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ.; 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 01 წ.

**დ) ქუთაისიდგან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:** ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.

**ბათუმისაკენ:** ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

**შორაპნისაკენ:** დღის 3 ს. 8 წ.

---


# განცხადება

**ალმაშენებელი კომიტეტი** ეკატერინენფელდის მართლ-მადიდებელთა ეკკლესიისა ამით აუწყებს ყველა იმ პატივცემულ პირთ, რომელთაც ხელის მოსაწერი ფურცლები გაეგზავნათ, დააჩქარონ და მაისის პირველ რიცხვებში შემოწირულებანი, ანუ მარტო ფურცლები დაუბრუნონ, ვინაიდგან მაისიდგან შეუდგება იგი ეკკლესიის აშენებას. იგივე კომიტეტი მადლობას სწირავს ექიმს, ამ კომიტეტის წევრად ნამყოფს, ბ-ნს ვ. მ. მანსვეტოვს და გ. ზ. გოზალოვს შემოწირულებათა დროით გამოგზავნისათვის.

თავმჯდომარე კომიტეტისა, მღ. სტ. ბაიდოშვილი.

---

ქუთაისში
ს. მ. ზ. თოფურიას
## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

---

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ საჭიროა სადგური ქალაქის ორი სკოლისა და საქალებო პროფესიანალურ სკოლისათვის 1, 2, 3, 4 და 5 პოლიციის უბნებში.

პირობათა შესატყობათ მიჰმართონ მმართველობის კანცელარიის პირველ განყოფილებას. (3—6—2)

---

## ახალი წიგნები

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართ. წიგნის მაღაზიებში.

სოსიკო მერკვილაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნები:

| | |
|---|---|
| **სიმღერა** აკაკისა. ფასი | 15 ,, |
| **თამარ მეფის სურათი** აკაკის ლექსით | 6 ,, |
| **პატრა ჩონგური** ლექსი (დედა-ენა) | 5 ,, |
| **თამარ მეფე** მოთხრობა აკაკისა | 5 ,, |
| **ვაჟრული ჭკუა,** ლექსი აკაკისა | 5 ,, |
| **დათუნა გოცირიძე**, **როსტომ ერისთავი** — ძველებური ამბავი აკაკისა | 5 ,, |
| **აბრამის და იოზის** ლექსი | 3 ,, |
| **ოქრუა** (ხალხური ზღაპარი) | 5 ,, |
| **ორი ძოსატყუილა**, **ბიჭია მენახირე**, **მეფე და სკვინჩა** — ხალხური ზღაპარი. | 10 ,, |

ვინც მოისურვებს ამ წიგნების სყიდვას ან დაბეჭდვას, მიმართოს ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ) არჯევანიძის სახ. **ანნა მერკვილაძის ქალთა ტანისამოსის სამკერვალო მაღაზიაში.**

ვინც თვითოეულ გამოცემას იყიდის არა ნაკლებ ერთი მანეთისა, **ყოველ მანეთზე დაეთმობა თითო აბაზი.**

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Георгіавская (Кашветская) ул., д. Аржеванидзе. № 12 модная мастерская Анны Мерквиладзе.

---

**გამოვიდა და იყიდება ყველგან**

„ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების" მიერ ახლად გამოცემული წიგნი

## ბარტექ ძლევამოსილი

ჰენრიკ სენკევიჩისა

IV+106 გვ. ფასი 20 კაპ.

---

გამოვიდა და ისყიდება

## ლედი ჯენ

ჯემსონის მოთხრობა სურათებით

სააღდგომო საჩუქრით

ვარაყიანის ყდით 1 მ.

იყიდება ჯეჯილის რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

ჯეჯილის რედაქციაშივე ისყიდება 1897, 98 და 99 წლების ჯეჯილი თითო წლისა ორ მანათად.

---

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

## ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომაურისა, ფასი 5 კაპ.

2.

## ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოცემა შეიძლება ფასდადებით შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распростр. грамотности.

---

**დაიბეჭდა და დაურიგდა ქართულის წიგნის ყველა მაღაზიას გასასყიდათ ახალი ქართული წიგნი**

## „ჩვენი დედეს"

პედაგოგიური წერილები ალ. ნათაძისა.

**ფ ა ს ი** 25 კაპ.

**ადრესი:** ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა, ალ. ნათაძეს.

---

საამფთიაქო საქონლით მოვაჭრე

# ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტ ფ ი ლ ი ს შ ი

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების" ქვეშ.

**ტელეფონი № 741.**

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად, დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების საამფთიაქო და ქიმიური საქონელი, მზა წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებლი ნივთეულობა, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ქირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბარატორიისათვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის სადებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ, და სხვ.

ადრესი ფოსტისა და დეპეშისა: Тифлисъ Товарищество Фармацевтовъ.

(100—19)


---

ლა-დანა, ავიდა ტახტზე და სთქვა:

—აქ, ამ ტახტზე დალიეს სული ჩემმა საყვარელმა ქმარ-შვილმა და მეც აქ უნდა მოვიკლა თავი!.. მიიტანა ყელთან დანა და ისევ უკან წამოიღო:—არა.. არა.., ეს ადგილი წმინდაა, აქ არ დავაბრუნებ ცოდოს!.. გადააგდო დანა, აკოცა ტახტს, გადმოვიდა ტახტიდგან, თან უვლიდა ბოსლის კედლებს, თან კოცნიდა, თან ტირილით ამბობდა:—მშვიდობით კედლებო... მშვიდობით ჭერებო... მშვიდობით თარო!.. ასე მოვიდა კარებამდის, გააღო და გაეშურა გარედ. აქ მას პირველად ძაღლი დახვდა:—მშვიდობით შენც, ჩვენო ერთგულო და მოამაგე პირუტყვო... მშვიდობით!.. მობერდი განა... შენც მოგიძულებენ!.. მშვიდობით არე-მარევ—ანა სწრაფათ გაეშურა წყლისკენ. მიატანა მდინარის პირს, ერთიც მოიხედა უკან და დაინახა, რომ ძაღლი უკან მისდევდა.

— შენს მეტს არავის ვყვარებივარ ამ სოფლად. ამ დროს მოეხვია ძაღლს, რომელმაც თითქოს გამომშვიდობების ნიშნად ლაქუცი დაუწყო.

— ჰო, კმარა... მშვიდობით არე-მარევ... მშვიდო...ო...ბით. ამ სიტყვის ძახილით ანამ შეტოპა მტკვარში, რომელმაც, თითქოს გაიხარაო, ბუტბუტით ჩამალა თავის ზვირთებში... ძაღლიც უკან გამოეკიდა, მაგრამ უკანვე გამობრუნდა და წკმუტუნ-ღმუილით დადიოდა წყლის პირზე.

ორი დღის შემდეგ იპოვეს ანას უსულო გვამი, რომელსაც ცხვირ-პირს უწიწკნიდნენ ყვავ-ყორანნი—თითქო რაღაცა განგება ასე არიგებს თავის არსებას: „ვინც თავის სიცოცხლეს უარს ჰყოფს, მკვდარსაც ნუ მოასვენებთო"!..

ანას სხეული სხვა მიცვალებულებზე მოშორებით უმღვდელოთ დამარხეს ..

ა. არ—ლი.